საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №280

23 ოქტომბერი 2014 წელი, თბილისი, საქართველო

2014 წლის 23 ოქტომბერს 11:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, ქეთევან მსხილაძე, ნათელა სახოკია, მარინა მუსხელიშვილი, გიორგი კოხრეიძე, ლელა გაფრინდაშვილი და ალექსანდრე ვახტანგოვი. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება.
2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2014 წლის 9 თვის დანახარეჯების შესახებ, მაუწყებლის გენერალური დირექტორისგან ინფორმაციის მოსმენა.

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა. სხდომას საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით ესწრებოდნენ მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი, მისი მოადგილე ფინანსურ დარგში კახაბერ სონიშვილი და სამეურვეო საბჭოს კონსულტანტი გიორგი ნატროშვილი.

პირველი საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

შემდეგ გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ სამეურვეო საბჭოს სახელზე შემოვიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის წერილი, რომელსაც დანართის სახით თან ერთვოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა, რადიოს და მრჩეველთ საბჭოს მიერ დამტკიცებული 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, ასევე განმარტებითი ბარათი თუ რა ცვლილების შეტანას ითხოვდა 2014 წლის ბიუჯეტში სსიპ „საზოგადობრვი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო".

გრიგოლ გოგელიამ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტზე სამეურვეო საბჭომ და საბჭოს კონსულტანტმა გიორგი ნატროშვილმა, იმსჯელეს სამუშაო შეხვედრაზე და შენიშვნები არ აქვთ. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ „საზოგადობრვი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების საკითხი, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა მხარი (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

მეორე საკითხი

მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბარათაშვილმა, საბჭოს წევრებს წარუდგინა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2014 წლის 9 თვის დანახარჯების შესახებ ინფორმაცია, კახა სონიშვილმა საკითხის ელექტრონული ვერსია წარმოადგინა, მან დეტალურად მიაწოდა საბჭოს წევრებს ინფორმაცია 2014 წლის 9 თვის დანახარჯების შესახებ, წევრებს საშუალება ჰქონდათ ყოველი საკითხის შესახებ კითვები დაესვათ კახა სონიშვილისთვის, რომელიც იმ საკითხზე რომელზეც იქნა დასმული კითხვა კიდევ უფრო დეტალურ ინფორმაციას აწვდიდა საბჭოს წევრებს. მაუწყებლის არქივის შესახებ საკითზე საუბრისას, საბჭოს წევრებმა გამოთქვეს სურვილი შეხვდენენ კომისიას, რომელიც მუშაობს და სწავლობს მაუწყებლის არქივის პრობლემებს. შეხვედრის ორგანიზება დაევალათ საბჭოს აპრატის თანამშრომლებს.

პრეზენტაციის მსვლელობისას გრიგოლ გოგელიამ მიმართა მაუწყებლის გენერალურ დირექტორს, რომ შიდა ორგანიზაციული პროცესების გამართვის მიზნით, კერძოდ: კონტოლის შექმნა, შიდა აუდიტის სამსახურის და აღრიცხვიანობის გამართვა, ამ მიმართულებებით სამეურევო საბჭო თვლის, რომ გვესაჭიროება საერთაშორისო საკონსულტაციო ორგანიზაციის დახმარება და სამეურევო საბჭო გაძლევთ რეკომენდაციას, დაავალოთ შესაბამის სამსახურს მოამზადონ სატენდერო წინადადება და გამოაცხადონ ზემოთ აღნიშნულ მომსახურეობაზე ტენდერი. ტენდერის გამოცხადებამდე სამეურევო საბჭოს წევრებსაც ინფორამციის მიღების მიზნით გაგვაცანით მაუწყებლის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადებული სატენდერო წინადადება.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საბჭოს წევრებმა ითხოვეს სამუშაო შეხვედრა მაუწყებლის გენერალურ დირექტორთან და მის მოადგილესთან ფინანსების დარგში კახაბერ სონიშვილთნ, სამუშო საკითი იქნება 2014 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები. ასევე საბჭოს კონსულტანმა გიორგი ნატროშვილმა მიმართა მაუწყებლის მენეჯმენტის წარმომადგენლებს, რომ უახლოეს მომავალში შედგეს სამუშაო შეხვედრა მაუწყებლის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის მიზნით. გიორგი ნატროშვილის მოთხოვნას საბჭოს წევრებიც დაეთანხმენ.

შემდგომ გრიგოლ გოგელიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ (2014 წლის 23 ოქტომბრის საბჭოს სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე: http://gpb.ge/BoardDecision.aspx?LangID=1).

საბჭოს თავმჯდომარე — გრიგოლ გოგელია

სხდომის მდივანი — ირინე ზაქარიაშვილი